


დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია 1111



- სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის საკითხს
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2016 წლის 5 ოქტომბრისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ანოტაცია
„დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია“ №1111
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებდა 2009 წლის საგადასახადო პერიოდზე დანაკლისის გამოვლენის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, 2009 წლის აგვისტოში ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის თანხით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ გადააჭარბა 100 000 ლარს. საწარმო არ დადგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე სავალდებულო წესით.

საწარმო ვალდებული იყო განეცხადებინა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე დადგომის შესახებ და ამ მომენტიდან განხორციელებულ ოპერაციებზე წარედგინა დღგ-ის დეკლარაციები (დანაკლისად მიჩნეული თანხის ჩათვლით).

ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებდა ხანდაზმულ პერიოდში დანაკლისის გამოვლენის საკითხს, აუცილებელი გახდა სიტუაციური სახელმძღვანელოს დაკორექტირება და მასში შესაბამისი ცვლილების შეტანა.